ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №373

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 28 ოქტომბერი, 2011 წ.

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქი ფოთი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი თვითმმართველი ქ. ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ივანე საღინაძის, მეორეს მხრივ, ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვასილ ხორავას სახით და მესამე მხრივ, საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ქ. ფოთის სამსახური (შემდგომში – მიმღები), წარმოდგენილი მისი უფროსის ნიკოლოზ სურმავას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია საავტომობილო საწვავის (შემდგომში: „საწვავი" ან „შესყიდვის ობიექტი") შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (საქონლის (საწვავის) შესყიდვა ხორციელდება თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 28 ოქტომბრის №345 ბრძანების საფუძველზე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად).

1.2 შესყიდვის ობიექტია:

ა) 1000 ლიტრი „რეგულარის" მარკის ბენზინი („ევრო რეგულარი") (RON93);

1.3 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა

1.4 სატენდერო განცხადების ნომერი – **SPA110026858** (ტენდერი არ შედგა).

1.5 შესყიდვის კატეგორია – 09100000- საწვავი;
კლასიფიკატორის (CPV)კოდი –09132000 ბენზინი

2. საწვავის ფასი და ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში:

ა) ერთი ლიტრი „რეგულარის" მარკის საწვავის („ევრო რეგულარი") ფასი შეადგენს 2.15 ლარს (შესაბამისად, 1000 ლიტრის საერთო ღირებულებაა – 2150 ლარი);

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **2150 (ორი ათას ასორმოცდაათი)** ლარს, რაც შეიცავს დ.ღ.გ.-ს, ავრეთვე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტი მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონური სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით.

4.2 საწვავის ტალონების შემსყიდველისათვის გადაცემა განხორციელდება ერთიანად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამ სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.3 საწვავის ტალონების გადაცემისას ან შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩატვირთვისას, მიმწოდებელი უზრუნველყოფს შესაბამისი სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერას.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია დაამზადოს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს (სპეციალური მინდობილობით აღჭურვილ პირს) მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები ლიტრობრივ ერთეულებში (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით). ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ყოველ ტალონზე კომპოსტერის მეშვეობით წერტილოვანი ნახვრეტებით ამოტვიფრული უნდა იყოს ინგლისური ასო **W.** ტალონზე ასევე აღნიშნული უნდა იყოს:

- მიმწოდებლის ლოგო წარწერით „ვისოლი";
- ტალონის ნომერი;

მიმწოდებლის ხელმოწერა ---------- შემსყიდველის ხელმოწერა ----------

- საწვავის სახეობა;
- საწვავის რაოდენობა.

შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) საათის გასვლის შემდეგ. ტალონების დაკარგვის შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი გონივრულ ვადაში სამუშაო საათებში აცნობებს მიმწოდებელს დაკარგვის შესახებ წერილობით და მიუთითებს დაკარგული ტალონების ნომრებს, მიმწოდებელი უზრუნველყოფს აღნიშნული ტალონების დაბლოკვას, მათი შემდგომი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების ან/და საწვავის გაცემა. დაკარგული ტალონების პოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონების აღდგენას (ბლოკირების მოხსნას).

5.2 საწვავის გაცემა წარმოებს შემსყიდველის მიერ დამოწმებული ტალონების საფუძველზე, რისთვისაც შემსყიდველმა ტალონის უკანა მხარეზე უნდა დასვას თავისი ბეჭედი. დაუმოწმებელ ტალონზე საწვავი მის დამოწმებამდე არ გაიცემა.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის კუთვნილი და სათანადო წესით დამოწმებული ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული საწვავის ხარისხითა და რაოდენობით. საწვავის გაცემა ხდება სათანადო წესით დამოწმებული ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.

5.4 ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

5.5 შემსყიდველის მხრიდან სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია ვიანორ პაპავა (პ/ნ 62005018068).

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საწვავის საფასური წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 მუხლის მიხედვით საწვავის ტალონების გადაცემაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საწვავის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- უარი თქვას უხარისხო საწვავის მიღებაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი;

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- გადასცეს შემსყიდველს საწვავის მიღებისათვის საჭირო ტალონების რაოდენობა;
- გააფრთხილოს შემსყიდველი საწვავის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისაგან მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

მიმწოდებლის ხელმოწერა ---------- შემსყიდველის ხელმოწერა ----------

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.

8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია საწვავის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საწვავის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

8.6 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

8.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე (საწვავის ტალონების გატანის ვადა – 2011 წლის 2 ნოემბრამდე).

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება საწვავის ფასების ცვლილების მექანიზმს არ ითვალისწინებს.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასარულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწეველობის შემთვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ეკისრება შემსყიდველის მიერ შექმნილ ინსპექტირების ჯგუფს. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველგვარი დაბრკოლებისა და შეზღუდვების გარეშე უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მიმწოდებლის ხელმოწერა ---------- შემსყიდველის ხელმოწერა ----------

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ოთხი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
თვითმმართველი ქალაქი ფოთი
მის: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №12
ს/კოდი: 215138143

მიმწოდებელი:
ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"
მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ
ს/ს „თიბისი ბანკის"
მარჯანიშვილის ფილიალი
ბ/კოდი: 220101850
ა/ა № GE48TB1100000018467453
ს/კოდი: 202161098

თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე საღინაძე

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას"
გენერალური დირექტორი

ვასილ ხორავა

მიმღები:
საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების
დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის
რეგიონალური სამმართველოს ქ. ფოთის სამსახური

სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ სურმავა